21/09/2026

MES 5 26 0001282559

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.09.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 16:45
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი
სხდომის თავჯდომარე: ნინო ხოლუაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

2. ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4. ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
7. ავთანდილ თავხელიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის" (ლაბორატორია) დირექტორი;
8. ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11. ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. სალომე ტყეშელაშვილი - სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
14. მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15. ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16. თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
17. თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
18. თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
19. ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21. ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22. თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მედიცინის მოწვეული საბჭოს წევრები:

1. ქეთევან ასათიანი - შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ექიმი, ევროპის ენდოკრინოლოგთა ასოციაციის (ESE) წევრი;
2. დოდონა ახვლედიანი -შპს ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
3. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სამედიცინო პროგრამების რევიზია/კონტროლის სამმართველოს უფროსი;
4. დავით გაგუა - შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შპს გაგუას კლინიკის გენერალური დირექტორი;
5. თეიმურაზ გოლეთიანი - სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კომპიუტერული და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის განყოფილების ექიმი;
6. დავით კობეშავიძე - შპს იმედის კლინიკის სამედიცინო დირექტორი;
7. ირმა მანჯავიძე - სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. ეკატერინე მგალობლიშვილი - სს რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ექიმი, სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ხელმძღვანელის მოადგილე;
9. ნანა მებონია - სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ქრონიკული დაავადებებისა და ტრავმატიზმის სამმართველოს უფროსი;
10. მარინა სისვაძე - სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
11. ჯავარა უგრეხელიძე - შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი;
12. ნანა ნიკოლაშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი, შპს ავერსის კლინიკის ცენტრალური ფილიალის ექიმი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სოფიკო გრიგოლაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

გოჩა თუთბერიძე – რექტორი;

სოფიო ხუნდაძე – ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

თათია ხარაბაძე – ხარისხის სამსახურის უფროსი;
თეონა გრიგოლაშვილი – სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
ბესიკ ტაბატაძე – კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მიხეილ გაგოშიძე – კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
თამარ პერტაია – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
ზაზა ავალიანი – დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (განხორციელების ადგილი ქალაქი ქუთაისი).

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ
რუსუდან ბერიაშვილი - გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმღვანელი;
ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ნინო ღაღანიძე - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ ხუნდაძე - ასოცირებული პროფესორი, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი;
ანი კლდიაშვილი - პროფესორი, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანა კუპრაშვილი - პროფესორი, კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლიკა ანთელავა - ასოცირებული პროფესორი, ხელოვნება, კულტურა, იდენტობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლელა ფირალიშვილი - ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კულტურის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვახტანგ მაისაია - გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ინასარიძე - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
ნინო ბაქრაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლიანა ხორბალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ჭიჭინაძე - აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თენგიზ კუპრაშვილი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ნანი არაბული (I საკითხი)
- მარინე რაზმაძე (I საკითხი)
- ნინო ჯოჯუა (I საკითხი)
- თამარ თხელიძე (I, II საკითხი)
- ხათუნა საგანელიძე (II საკითხი)
- ელენე ზურაბიშვილი (II საკითხი)
- ია ნაცვლიშვილი (II საკითხი)
- დავით სიხარულიძე (III საკითხი)
- ეკა გეგეშიძე (III საკითხი)
- ირმა ქურდაძე (III საკითხი)
- ირაკლი ჩხაიძე (IV, V საკითხი)
- ნინო პატარაია (IV, V, VI, VII საკითხი)
- ვაჟა მამიაშვილი (VI საკითხი)
- თინათინ ქაროსანიძე (VII საკითხი)
- ეკა დარბაიძე (VII საკითხი)
- თამარ ძველაია (VIII საკითხი)
- თინათინ ზერაგია (IX საკითხი)
-

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას I, II, III, IV, V, VI, XIII IX საკითხებთან დაკავშირებით უხელმძღვანელა ლევან შავაძემ, ხოლო VII საკითხთან დაკავშირებით, ნინო ხოლუაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და მოწვეული საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;

3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის" მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ააკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ორი საკითხი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგები და ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგები განხილულ იქნა 25 აგვისტოს უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად, დღევანდელი დღის წესრიგიდან ამოღებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული პროგრამები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის" მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ააკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამი სდასახელება: კომპიუტერული მეცნიერება
საფეხური: ბაკალავრიატი;

სწავლებისენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროსკოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
კრედიტების რაოდენობა: 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა თინათინ გოგნაძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტის, სოკრატის კათსიკასისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციების შესახებ პოზიცია წარმოადგინა თარჯიმანმა ლაშა მაჭარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების მნიშვნელოვან ნაწილს ეთანხმება და ადასტურებს მზადყოფნას პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ, თუმცა რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს. პირველ რიგში, დაწესებულება არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სასწავლო კურსი „საოფისე პროგრამები“ არჩევით კომპონენტში უნდა გადავიდეს. უნივერსიტეტის განმარტებით, კურსი არ შემოიფარგლება მხოლოდ საოფისე პროგრამების გამოყენების საბაზისო უნარებით და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებაში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება მზად არის გადახედოს კურსის შინაარსსა და სახელწოდებას, იგი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მის არჩევით კომპონენტში გადატანას.

საგანმანათლებლო დაწესებულება არ ეთანხმება, ასევე სასწავლო კურს „კომპიუტერული ქსელების“ თემატური სტრუქტურის ცვლილების რეკომენდაციასთან მიმართებით. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ კურსი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ აღიარებული „Top-Down“ მეთოდოლოგიით, რომელიც სწავლების პროცესს აპლიკაციური დონიდან ფიზიკურ დონემდე წარმართავს. დაწესებულების შეფასებით, ეს მიდგომა ეფექტიანად უწყობს ხელს მასალის ათვისებას და სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე აკადემიურ პრაქტიკასთან, რის გამოც თემების OSI მოდელის ფენების კლასიკური თანმიმდევრობით გადალაგების აუცილებლობას ვერ ხედავს.
უნივერსიტეტი ნაწილობრივ არ ეთანხმება რეკომენდაციას სასწავლო რესურსების განახლების შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი იზიარებს გარკვეული კურსების ლიტერატურის განახლების საჭიროებას, კურს „კომპიუტერის ორგანიზება და არქიტექტურასთან“ დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას გამოხატავს. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული კურსი ეფუძნება კომპიუტერული არქიტექტურის ფუნდამენტურ და დროში ნაკლებად ცვალებად პრინციპებს, რის გამოც არსებული ლიტერატურა დღემდე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მისი განახლების აუცილებლობა არ იკვეთება.
გარდა ამისა, უნივერსიტეტი არ ეთანხმება პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ რეკომენდაციას. მისი პოზიციით, ექსპერტთა დასკვნა სრულად არ ასახავს იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც უკვე მიმართულია სტუდენტთა აკადემიური, პროფესიული და კლასგარეშე აქტივობების მხარდაჭერისთვის. დაწესებულება მიუთითებს, რომ აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 17 500 ლარის ოდენობის დაფინანსება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და სტუდენტურ მხარდაჭერას. ამდენად, უნივერსიტეტის შეფასებით, საკითხი არ წარმოადგენს ისეთი ხასიათის ნაკლოვანებას, რომელიც რეკომენდაციის გაცემას საჭიროებს და უფრო რჩევის დონეზე უნდა იყოს განხილული.
საბოლოოდ, უნივერსიტეტის განსხვავებული პოზიციები ძირითადად ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ არსებული პრაქტიკა, სასწავლო რესურსები და ფინანსური უზრუნველყოფა უკვე აკმაყოფილებს პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, ხოლო რიგ შემთხვევებში შემოთავაზებული ცვლილებები ვერ ქმნის დამატებით ღირებულებას პროგრამის განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წერმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ თავისუფალ კომპონენტებში მოცემულია სავალდებულო თავისუფალი კრედიტები, სადაც არჩევითი არაფერი არ არის. მას ექსპერტების პოზიცია აინტერესებდა რამდენად მისაღები იყო ეს შეთავაზება სტუდენტებისთვის. ასევე მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა სწავლის რუქის ფორმირება, რადგან თავისუფალი კომპონენტი სწავლის რუკის ფორმირებაში არ ღებულობს მონაწილეობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ თავისუფალ კომპონენტში მოაზრებულია ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები, რადგან კლასიფიკატორში საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა გაყოფილია 2 ნაწილად, ძირითდი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის. შესაბამისად თავისუფალი კომპონენტი არა არჩევით კურსებს, არამედ ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ეთმობა. თავისუფალი კომპონენტი მოიაზრებს არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს. 180 კრედიტის ფარგლებში ინსტიტუცია ცოტა შეზღუდულია არჩევითი კურსების დამატებაში. რადგან ამ კურსებს ჰქონდათ სავალდებულო სტატუსი, ისინი შეყვანილნი არიან სწავლის რუკაშიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ თავისუფალი კომპონენტი ამ შემთხვევაში არ არის გადამწყვეტი სიტყვა, რადგან კლასიფიკატორის მიხედვით არის შედგენილი პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, კვალიფიკაციის ჩარჩო საშუალებას

იძლევა, რომ პროგრამა იყოს შემუშავებული და მასში არჩევითი კომპონენტები არ იყოს. პროგრამა შემუშავებულია თავისუფალი კომპონენტებით, რომელშიც ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს მოიაზრება.
საბჭოს წევრმა, ფრიდონ გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით პროგრამის განხორციელება ეფუძნება იმ ლაბორატორიულ ბაზას და იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელიც უნივერსიტეტს აქვს. მას აინტერესებდა ამ პროგრამისთვის თუ მოხდა რაიმე ახლის შეძენა, რადგან პროგრამა ითვალისწინებს გაზრდილი შესაძლებლობების მქონე ტექნიკას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ სპეციალური ლაბორატორია შეიქმნა, აღჭურვილია 15 მძლავრი კომპიუტერით. ლექციაზე მოაზრებულია 30 სტუდენტი, რომელიც გაიყოფა სემინარზე და 15-15 მოხვდება ჯგუფში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბესიკ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამისთვის შეიქმნა სპეციალიზირებული ლაბორატორია, რომელიც 15 კომპიუტერით არის წარმოდგენილი. თითოეული კომპიუტერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ 16 კომპიუტერია ლაბორატორიაში და ისინი შეესაბამება კურსის მოთხოვნებს. ცალკე დამატებით არის 25 კომპიუტერი, რომელსაც როგორც სასწავლო პროცესისთვის, ისე გამოცდებისთვის იყენებენ. ტექნიკური ბაზის ზრდაზე ბიუჯეტიც გათვლილი აქვს დაწესებულებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:37
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბერამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს სხდომას შეოუერთდა აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები.

მეორე საკითხი: შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსი
საფეხური: ერთსაფეხურიანი
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
კრედიტების რაოდენობა: 360

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ელენე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია 350 სტუდენტიდან 600-მდე გაზრდას ითხოვს. ექსპერტებმა გასცეს მხოლოდ 1 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამაში სტუდენტის ინდივიდუალური გეგმის 60-ზე მეტი კრედიტის დატვირთვის შესახებ ჩანაწერის დაზუსტებას. დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში ჩანდა, რომ ინგლისურ ვერსიაში სწორად იყო წარმოდგენილი და დაეთანხმნენ ქართული ვერსიის ჩასწორებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ დამატებითი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხათუნა ლომაურმა აღნიშნა, რომ 27% არის აკადემიური პერსონალი და 69% მოწვეული. მან აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი საკმაოდ მნიშვნელოვანია სამედიცინო მიმართულებებზე და აინტერესებდა 73 აყვანილი პერსონალის გამოცდილება, რამდენი ხანია, რაც აყვანილი ჰყავდა დაწესებულებას და მათი გამოცდილება.
ელენე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ კონტინგენტის გაზრდის ჭრილში ეს არ წარმოადგენდა ჩამკეტ რგოლს. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს მეთოდოლოგია კონტინგენტის გაზრდის თვალსაზრისით. რადგან ეს საკითხი ჩამკეტი არ იყო გაიწერა რჩევებში.

სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ნიშნულის მიხედვით ითვლის დაწესებულება სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობებს. ნიშნული მდგომარეობს იმაში, რომ ძირითადი სწავლის სფეროს საბაზისო სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი უნდა იყოს ამ მიმართულებით განხორციელებული საათების 51%. დაწესებულება ამ მიმართულებით მუდმივად მუშაობს და მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროგრამა ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში.
ზაზა ავალიანმა აღნიშნა, რომ კვალიფიციური პერსონალის პრობლემაა ქვეყანაში. დაწესებულებას ამ დონემდე მოსასვლელად დიდ ძალისხმევა დასჭირდა და ამ ეტაპამდე გრძელდება ამაზე მუშაობა.
თამარ მერაბიშვილმა ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში კურსში აქვს B2 დონე, თუმცა დამხმარე ლიტერატურაში B1 არის შეტანილი. მას ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია.
სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ძირითადი ლიტერატურა არის B2 დონე.
მაია ბარკალაიას აინტერესებდა პროგრამა მხოლოდ ინგლისურენოვანი იყო თუ არა. ასევე აინტერესებდა ქართველ სტუდენტებზე იყო გათვლილი პროგრამა თუ უცხოელებზე.
გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ხორციელდებოდა და ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო სწავლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 15:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე, ძირითადი საბჭო - 22
წინააღმდეგი - 0

მომხრე, მოწვეული საბჭო - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[9] მუხლის მე - 3 და მე - 4 პუნქტების და 27[10] მუხლის მე - 11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტის

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600- ით.

საბჭოს სხდომა დატოვეს აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა: 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა გიორგი წანაწყენიშვილმა და ნინო ხოლუაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 23 აპრილს. შეფასდა პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი. შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ყველა რეკომენდაცია არის შესრულებული დაწესებულების მიერ, მხოლოდ ორი რჩევა იყო დარჩენილი, რომლებიც ლიტერატურის განახლებას ეხებოდა.
ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკმაოდ დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული წინ, რაც ჩანს ყველა დეტალში.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ დამატებითი მოსაზრებები არ გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თანამედროვე კულტურის კვლევები
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - კულტურის კვლევების მაგისტრი, II ნაწილი - კვლევის მაგისტრი კულტურის კვლევებში;
დეტალური სფეროს კოდი: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
კრედიტების რაოდენობა: პირველი ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; მეორე ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნება, კულტურა, იდენტობები
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - კულტურის კვლევების მაგისტრი, II ნაწილი - კვლევის მაგისტრი კულტურის კვლევებში;
დეტალური სფეროს კოდი: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60, II ნაწილი - 60;
№945525, 17/07/2026 წერილით ცენტრმა გასცა თანხმობა და ცნობად მიიღო ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 20 თებერვლის №20/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის" შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესოა, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები. ზოგიერთი ეხებოდა აღწერილობით ნაწილს, რადგან იმეორებდა სადოქტოროს აღწერილობას. რეკომენდაციები იყო სასწავლო კურსებთან დაკავშირებითაც, კერძოდ სწორი სავალდებულო ლიტერატურა და მათი დეტალური ჩაშლა. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტების პოზიცია. მეორე პროგრამის შემთხვევაშიც სრულად იქნა გაზიარებული. იყო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უნდა დანერგილიყო კურსი ან კურსები ქართული კულტურის შესახებ. ამაზე დაწესებულების მხრიდან ვრცელი არგუმენტირებული პასუხი მიიღეს ექპერტებმა და გაიზიარეს, თუმცა რეკომენდაციებიდან გადავიდა რჩევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ დამატებითი მოსაზრებები არ გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში პირველ სტანდარტთან მიმართებით აღნიშნულია, რომ მეტწილ შესაბამისობაშია, თუმცა ბოლოს წერია, რომ შესაბამისობაშია. მას სურდა ექსპერტების დასტური თავიანთ პოზიციაზე.
ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები მოხსნილია და სრულად არის შეფასებული. ეს არის ტექნიკური ხარვეზი.
შალვა კელეპტრიშვილმა პირველ პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ძირითადი სფეროს საგნები არის 40 კრედიტი და არჩევითი საგნები არის 25 კრედიტი. არჩევითებში არის 8 სასწავლო კურსი და 6 სავალდებულო აწერია. მას აინტერესებდა როგორ ეთანაბრება სტრუქტურას ეს არჩევითი საგნები, რადგან 30 კრედიტს მოიცავს არჩევითის ძირითადი საგნები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავალდებულო არ ნიშნავს იმას, რომ ყველა უნდა აირჩიოს სტუდენტმა. უნდა აირჩიოს იმ ექვსიდან გარკვეული საგნები.
შალვა კელეპტრიშვილმა მეორე პროგრამის „1960-იანი წლების ქართული კულტურის“ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა არის შეტანილი. მას აინტერესებდა რამდენად ჰქონდათ კომპეტენცია ამ მიმართულებით სტუდენტებს.
ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ჰქონდათ ექსპერტებს, რომელიც გაიზიარა დაწესებულებამ სრულად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვახტანგ ბერიძის ეს წიგნი რუსულად არის გამოცემული და არ აქვს ქართული თარგმანი. დაწესებულებას ამ წიგნის თარგმნაც იგეგმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:53
დასრულების დრო: 15:58
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის

სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "თანამედროვე კულტურის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
საფეხური: დოქტურანტურა;
სწავლების ენა: ქართული;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორი.
PhD in Restoration/Conservation
0222.1.3; 0739.1.1
კრედიტების რაოდენობა: 50

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვაჟა მამიაშვილმა აღნიშნა, რომ გაიცა 2 რეკომენდაცია, სილაბუსებთან და 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასკვნა და ექსპერტებმა გაითვალისწინეს 1.5 რეკომენდაციასთან მიმართებით. 2.4 კი დარჩა უცვლელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს გეგზავნა არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებას შექმნილი აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზა ამ მიმართულებით, რაც დასტურდება ოქმით ამ ჩამონათვალში არსებულ ორგანიზაციებს მიმართავს ხოლმე ინსტიტუცია სადოქტორო ნაშრომის დაცვის დროს. თუმცა დოკუმენტებში გათვალისწინებული არ იყო რეცენზენტთა მოწვევის წესი და დაცვის კომისიაში ერთჯერადად მოწვეული წევრების შერჩევის წესი. დაწესებულებამ ეს გაითვალისწინა და შეცვალა შესაბამისი პუნქტები. თუმცა აკადემიურმა საბჭომ ვერ დაამტკიცა იმ პერიოდში, ახლა უკვე დამტკიცებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თეა ნარეკლიშვილმა აღნიშნა, რომ 18 შედეგზე გადის პროგრამა და ამ შედეგებზე ძირითადად შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგად გადის. მას აინტერესებდა სხვა აქტივობით ვერ გადის სტუდენტი შედეგზე თუ როგორ ფასდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სემინარზე აქტივობებისა და პრეზენტაციების შედეგად გადის შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:08

დასრულების დრო: 16:10
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნება, კულტურა, იდენტობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

თუმცა საბჭომ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

,,რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს და დააზუსტოს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.
დაწესებულებას დაევალოს 2 თვის ვადაში ცენტრში წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ".

მეშვიდე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - "უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი"; II ნაწილი - "კვლევის მაგისტრი უსაფრთხოების კვლევებში";
დეტალური სფეროს კოდი: 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60, II ნაწილი - 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრებმა ლევან შავაძემ და ეკატერინე ჭალაგანიძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თინათინ ქაროსანიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა კოლეგიალურ გარემოში. რეკომენდაციები გაცემული იყო 3 სტანდარტში - პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებში. სულ იყო 6 რეკომენდაცია და 11 რჩევა. რეკომენდაციები უკავშირდებოდა სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლებას. განახლდა ლიტერატურა, გამრავალფეროვნდა, ბიუჯეტი გაზრდილია ბიბლიოთეკისთვის. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ინგლისურ დონეს, აქამდე თუ მხოლოდ სერთიფიკატით ხდებოდა აღდგენა, ახლა უკვე ითხოვდნენ ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილებასაც. საბოლოოდ, დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებული აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ საკმაოდ კოლეგიალურ გარემოში წარიმართა პროცესი. პროგრამა 2020 წელს განხორციელდა, იყო ერთობლივი პროგრამა და ფინანსდებოდა უკრაინის მხრიდან, თუმცა საომარი მოქმედებების გამო ეს დაფინანსება შეწყდა. ახლა საკუთარი ხარჯებით ხდება ლიტერატურის გამდიდრება. აკადემიურ პერსონალს უფინანსდება კომპეტენციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებიც. ასევე ლექტორებს სახელმძღვანელოს 200 ეგზემპლარის გამოცემაც უფინანსდებათ, რომელთაგან 100 რჩება დაწესებულებას და დანარჩენი ავტორს პირადი მოხმარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
კითხვები არ ჰქონდათ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მერვე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის" მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
დეტალური სფეროს კოდი: -
კრედიტების რაოდენობა: 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ ძველაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს პროგრამის განვითარებისთვის გადადგმული. გადაიხედა 18 მიზანი და უფრო გაზომვადი გახდა ისინი, განახლდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და თითოეულ შედეგს მიესადაგა შესაბამისი ერთეული და სამიზნე ნიშნული. გაძლიერდა აკადემიური პერსონალის კომპეტენციებიც, ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციები სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. გაუმჯობესდა არაპირდაპირი შეფასების მექანიზმიც. სასწავლო კურსების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. განახლდა მუსიკისადმი სწავლების სილაბუსი და ის მოერგო განათლების 3 საფეხურის მოთხოვნებს, ასევე შეიქმნა ახალი სავალდებულო კურსი „საქართველოს ზოგადი განათლების პედაგოგიური საფუძვლები“. განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგიური პრაქტიკა. სტუდენტთა ჩართულობაზე იყო რეკომენდაცია, რაზეც ხარისხის სამსახურმა აქტიურად იმუშავა. გამოიკითხა სტუდენტები და შედეგების მიხედვით დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. საბოლოოდ, პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 16:36

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის" მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის" მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეცხრე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სატრანსპორტო ლოგისტიკა
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრი II ნაწილი - კვლევის მაგისტრი სატრანსპორტო ლოგისტიკაში
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ფრიდონ გოგიაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი თამარ ძველაია არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:46

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულ და 16:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ხოლუაშვილი ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად